



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ეროვნული პლატფორმა მხარს უჭერს ეროვნული თანხმობის პროცესს

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის, საქართველოს ეროვნული პლატფორმა მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, ინიციატივით წამოწყებულ ეროვნული თანხმობის პროცესს.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი და პოლარიზაცია არის ის, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპულ განვითარებას აფერხებს და ხელს უშლის იმ საერთო მიზნისკენ სწრაფვაში, რომელიც უკავშირდება ჩვენს ეროპულ და ევროატლანტიკურ მომავალს.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა, მუდმივად ხაზს უსვამდა საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული დიალოგის პროცესის აუცილებლობას. ჩვენ დღესაც მივიჩნევთ, რომ კრიზისის რაციონალურად გადასაწყვეტად და ქვეყანაში სტაბილური გარემოს შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ნორმალიზებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრულფასოვან ფუნქციონირებას, მნიშვნელოვანია მომავალზე ორიენტირებული პროცესების მხარდაჭერა.

მივესალმებით პრეზიდენტის მიერ დაწყებული დიალოგის ფორმატს და იმედს გამოვთქვამთ, რომ მსგავსი ნაბიჯები საფუძველს ჩაუყრის იმ აქტივობებს, რომელიც საბოლოოდ გამოიყვანს ქვეყანას პოლიტიკური კრიზისიდან.